№ 8 მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი ნელიწადი მეორე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 2 მან. სამშაბათი, 13 იანვარი 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რეს.“ 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 40 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. მე-3 ცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. განგვერდზე 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 80 მ. 1 იანვრ. გაზ. ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქუჩა № 6. ტელეფონი 1—82.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება

## გუშინ, იანვრის 12, ბრიტანეთის უმაღლესმა კომისარმა უორდროპმა ინახულა გარეშე საქმეთა მინისტრი ევგ. გეგეჭკორი და ოფიციალურად განუცხადა შემდეგი: საზავო კონფერენციის უმაღლეს საბჭოს სხდომაზე ლორდ კერზონის წინადადებით ერთხმად აღიარებულ იქმნა

## საქართველოსა და ადერბეიჯანის დამოუკიდებლობა.

**ოფიციალური განკარგულება.**

### განკარგულებანი

**საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისა.**

10 იანვარი, 1920 წ., № 1.

მთავრობის სახლის გამგებლობა დღიდან ამ ბრძანების გაცემისა დაექვემდებაროს მთავრობის საქმეთა მმართველს.

6 იანვარი, 1920 წ., № 2.

ამა წლის 15 იანვრიდან დუშეთის მაზრაში მოიხსნას სამხედრო წესები და გაუქმდეს ამ მაზრის საგენერალ-გუბერნატორო.

6 იანვარი, 1920 წ., № 3.

გენერალი ილია ზურაბის ძე ოდიშელიძე დაინიშნოს სამხედრო მინისტრის ამხანაგად.

მთავრობის თავმჯდომარე
**ნ. ჟორდანია.**

—

**სენატორ ნიკოლოზ მოსეს ძე ქიქოძეს.**

6 იანვარი, 1920 წ., № 1834.

დამატებათ მთავრობის თავმჯდომარის განკარგულებისა 1919 წლის 25 დეკემბრის თარიღით 1768 № ით, რომლის ძალით თქვენ მონდობილი გაქვთ ტფილისის ქალაქის გამგეობის საბინაო განყოფილების რევიზია, მოგანდობთ აგრეთვე ტფილისის ქალაქის მილიციის იმ მოქმედების რევიზიას, რომელიც დაკავშირებულია საბინაო განყოფილების ფუნქციებთან, რისთვისაც უფლებას გაძლევთ ისარგებლოთ ყველა იმ უფლებებით, რომელიც აღნიშნულია დამფუძნებელ კრების მიერ 1919 წლის იანვრის 30 მიღებულ დროებით დებულებაში.

მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე
**ევგ. გეგეჭკორი.**

—

**იუსტიციის მინისტრისა.**

2 იანვარი, 1920 წ., № 1

დღეიდან მე შეუდექი იუსტიციის მინისტრის თანამდებობის აღსრულებას, რასაც ვაუწყებ იუსტიციის უწყების დაწესებულებათ და თანამდებობის პირთ.

იუსტიციის მინისტრი **რ. არსენიძე.**

---

## ინსტრუქცია

**მთავრობის სავალდებულო დადგენილების გამო თავისუფალ მიწების იძულებითი დათესვის შესახებ.**

სავალდებულო დადგენილება ყველა ცარიელ მიწების აუცილებლად დათესვის შესახებ გაძოწვეულია გასული წლის მოუსავლობით და მიზნათ აქვს შეასუსტოს სასურსათო კრიზისი მომავალ სამეურნეო წელს, რისთვისაც მიმდინარე წელს აუცილებლად უნდა დათესოს ყველა თავისუფალი მიწა ანეულით (გაზაფხულის პურით). ამიტომ მთავრობის სავალდებულო დადგენილებას დროებითი ხასიათი აქვს და მიზნათ სრულებით არ ისაკავს საადგილ-მამულო ურთიერთობის საზოგადოდ მოწესრიგებას.

პირებმა და დაწესებულებებმა, რომელთაც დავალებული აქვთ სავალდებულო დადგენილების ცხოვრებაში გატარება, უნდა ერიდონ სოფლის ეკონომიურ წყობილებაში ნაუცბათევათ ძირითადი ცვლილებების შეტანას, მარა ამასთან ერთად ფხიზლათ უნდა ადევნონ თვალყური, რათა დაუთესავი დარჩეს მხოლოდ ის კულტურული მიწები, რომელიც საჭირო და აუცილებელია სანახიროთ და სათივეებათ, ან და დანიშნული არიან უფრო ძვირფასი მცენარეების მოსაშენებლად, როგორც არის თამბაქო და სხვა. მიწები აუცილებლად უნდა დათესოს პურით, სიმინდით, ქეოით და ბოსტნეულით.

სავალდებულო დადგენილების განხორციელების დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ შემდეგით:

1) საერთო ხელმძღვანელობა და კონტროლი ფონდისა და კერძო პირთა მიწების სავალდებულოთ დათესვის საქმეში ენდობა სამაზრო ერობას, ხოლო გამორკვევა ცარიელი მიწებისა, მათი განაწილება მოიჯარადრეთა შორის და ყურის გდება იმისთვის, რომ მამულის პატრონებმა და მოიჯარადრეებმა დაკისრებული ვალდებულებანი შეასრულონ, და აგრეთვე ღალის აღება, მოსავლის ერთი მეათედის სახით ევალება სათემო ერობებს, ხოლო სადაც ისინი არ არიან, განსაკუთრებულ კომისიებს, რომელთაც აირჩევენ სოფლის საზოგადოებანი და დაამტკიცებენ სამაზრო ერობანი.

2) სავალდებულო დადგენილებისა და ამ ინსტრუქციის გამოქვეყნებისთანავე სამაზრო საერობო გამგეობებმა სათემო ერობების ან, სადაც უკანასკნელნი არ არიან, განსაკუთრებული კომისიების შეწყობით უნდა გამოარკვიონ: ა) სად და რამდენი ცარიელი (დაუთესავი) მიწაა, ბ) აქვს თუ არა მათ პატრონს საკმაო თესლი, სამეურნეო იარაღები და მუშა საქონელი და გ) დათესავენ თუ არა თითონ ან თავის ნებით მსურველებზე იჯარით გასცემენ ამ მიწებს.

3) სამაზრო საერობო გამგეობანი აწესებენ საბოლოო ვადას, რომლის განმავლობაში მიწების პატრონებმა განცხადება უნდა შეიტანონ სათემო ერობაში ან სადაც ასეთი არ არის, განსაკუთრებულ კომისიებში, ვინც ამ ვადაში განცხადებას არ წარმოადგენს, მათი მიწები ითვლება ერობათა ან კომისიების განკარგულებაში გადასულათ და იჯარით მიეცემათ ამ უკანასკნელთა მიერ მსურველები.

4) სამაზრო საერობო გამგეობანი აწესებენ უკანასკნელ ვადას, რომლის განმავლობაში აუცილებლათ უნდა დათესოს მიწები მესაკუთრეთა ან მოიჯარადრეთა მიერ. თუ ამ ვადაში მიწა არ დათესა ან და არ არის იმედი, რომ მას მოიჯარადრე ან პატრონი დათესვას, ამ შემთხვევაში სათემო ერობა მას სხვას აძლევს დასათესათ.

**შენიშვნა:** ვადა ისეთი უნდა დაწესდეს, რომ შესაძლებელი გახდეს მიწის დამუშავება სხვა პირის მიერ, თუ მესაკუთრე ან მოიჯარადრე არ დაამუშავებს.

5) სამაზრო საერობო გამგეობანი ეხმარებიან თემებს ან განსაკუთრებულ კომისიებს მცხოვრებთათვის თესლისა და სამეურნეო იარაღების მიწოდების საქმეში.

6) თუ გამოირკვა, რომ რომელიმე ადგილს ცარიელი მიწები არ შეიძლება დამუშავებულ იქნას ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ, სამაზრო ერობები სათემო ერობებთან და განსაკუთრებულ კომისიებთან ერთად ვალდებულნი არიან ან თითონ დათესონ ეს ადგილები, ან მიიწვიონ ცალკე მოიჯარადრენი დ. წვრილ მეურნეთა არტელი რესპუბლიკის სხვა ადგილებიდან.

7) ყოველ გვარ საჩივრებს თემებისა ან განსაკუთრებული კომისიების მოქმედების შესახებ იხილავენ საჩქაროთ, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს სამი დღისა, განცხადების მიღების შემდეგ, სამაზრო ერობანი და მათი დადგენილებანი საბოლოო გადაწყვეტილებათ ითვლება.

8) სამაზრო და სათემო ერობანი ვალდებულნი არიან დამნაშავენი პასუხისგებაში მიცემენ, თანახმად სავალდებულო დადგენილების მე-7 მუხლისა.

9) სამაზრო ერობათა გამგეობანი თვალყურს ადევნებენ თემების ან მათ მაგიერ არსებულ საგანგებო კომისიების მუშაობას მოიჯარადრეთაგან ღალის შეგროვებაში.

10) თემები ან, სადაც ისინი არ არსებობენ, საგანგებო კომისიები მთავრობის სავალდებულო დადგენილებას და ამ ინსტრუქციას ფართოთ აცნობენ მცხოვრებლებს. აგრეთვე ერობების მიერ დანიშნულ ვადებსაც, რომელიც ნახსენებია ამ ინსტრუქციის 3 და 4 მუხლებში.

11) თემები ან საგანგებო კომისიები: ა) არკვევენ გამოკითხვით ან ადგილობრივ გაცნობით თავისუფალ მიწების რაოდენობას, რომელიც კი გაზაფხულის სათესათ არის გამოსადეგი და მათი დათესვით სოფლის შეურნეობას არავითარ ზარალს არ მიაყენებს, ბ) ღებულობენ ცალიერ მიწის პატრონებისაგან განცხადებებს, თანახმანი არიან თითონ დაამუშაონ თავისუფალი ნაკრები თუ იჯარით გასცენ, გ) ღებულობენ მოიჯარადრეთაგან განცხადებებს და ანაწილებენ მათ შორის თავისუფალ ნაკრებს, დ) ხელწერილს ართმევენ მესაკუთრეთ ან მოიჯარადრეებს იმის შესახებ, რომ ისინი ვალდებულნი არიან დანიშნულ ვადაზე დაიმუშაონ და დათესონ თავისუფალი ნაკრები, ე) თვალყურს ადევნებენ მესაკუთრეთ ან მოიჯარადრეთ ასრულებენ ისინი თუ არა ნაკისრ ვალდებულებას, ვ) იმ მოიჯარადრეებს, რომელნიც არ ართმევენ მიწას და სხვას აძლევენ იჯარით, და ზ) სახელმწიფო მამულების მოიჯარადრეებს ახდევინებენ იჯარას.

მიწათ-მოქმედების მინისტრი **ხომერიკი.**

**შრომის მინისტრისა.**

ამით ვაცხადებ საყოველთაო საყურადღებოთ, რომ თანახმად 1919 წლის 13 დეკემბრის დამფუძნებელი კრების დეკრეტისა (იხ. „საქართველოს რესპუბლიკა“ ამა წლის 21 დეკემბრის № 289), რომლითაც შეცვლილ იქნა მე-65 ე მუხლი მუშათა ავადმყოფობის დროს უზრუნველყოფის დებულებისა, შრომის სამინისტრომ დაადგინა:

იმ პირთათვის, რომელთა დღიური ქირა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალემატება 200 ქანეთს ან წლიური ჯამაგირი 60.000 მანეთს გადასახადი საავადმყოფო კასის სასარგებლოდ იანგარიშება დღიური 200 მანეთის კვალობაზე.

2. ეს დადგენილება ძალაში შედის 1920 წ. 1 იანვრიდან.

შრომის კომისრებს ევალებათ ადეგნონ თვალ-ყური რათა ეს დადგენილება ცხოვრებაში უთუოდ გატარდეს.

შრომის მინისტრის ამხანაგი ერაძე.

---

**არა ოფიციალური განყოფილება**

---

# მთავრობაში

### 30 დეკემბრის სხდომა.

დაესწრნენ: მთავრობის თავმჯდომარე—ნ. ჟორდანია, მინისტრები—ბ-ნნი ხომერიკი, რამიშვილი, გეგეჭკორი, ერაძე, კანდელაკი. სახელმწიფო კონტროლიორი—ბ-ნი გოგიჩაიშვილი; მინისტრთა ამხანაგები—ბ-ნნი ავალიანი, ჭიჭინაძე, ბახტაძე, ჭავჭანიძე, გედევანიშვილი; დეპარტ. დირექტ. ბ-ნი ჭიჭინაძე; იუსტ. დეპარტ- თანამდ. ალმას.—ბ-ნი ჟორდანია; მდივანი—დ. დიდებულიძე.

**საერობო სამკურნალო დაწესებულებათა შტატები.**

საერობო სამკურნალო დაწესებულებების ახალი შტატების პროექტი, იმ სახით, რა სახითაც წარმოდგენილი არის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, მიღებულ იქმნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

**ცენტრალური სასურსათო საბჭოს გადაცემა ერობათა კავშირისთვის.**

ყოფილი ცენტრალური სასურსათო საბჭოს საქმეების გაძღოლა ჰპარდება ერობათა კავშირს იმავე წესით, რა წესითაც ხსენებული საქმეები ჩაბარებული ჰქონდა აღნიშნულ სასურსათო საბჭოს (თანახმათ მთავრობის 1919 წლ. 13 მარტის დადგენილებისა მუხ. 6 ლიტ. ა.) ვიდრე ეს საკითხი გადაჭრილ იქნება საკანონმდებლო წესით.

**ფოსტის ახალი ნიშნები.**

ფოსტის 10 მანეთიანი ნიშნები მოწონებულ იქმნას.

**სახინჯო გადასახადის გადიდება.**

მოხსენება მოწონებულ იქმნას დაარსებული სასინჯო გადასახადი გადიდდეს ფინანსთა მინისტრის მიერ ნავარაუდევ ზომამდე.

**საბაჟოს დაარსება ქუთაისში.**

ქ. ქუთაისში დაარსდეს მე 2 ხარისხის საბაჟო. პროექტი შტატებით მიღებულ იქმნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

**იუსტიციის უწყების შტატს გარეშე დარჩენილ მოხელეთა სრული ლიკვიდაცია.**

დაევალოს იუსტიციის მინისტრს.

იმ მოხელეთ, რომელნიც თანახმათ 9 ამა დეკემბრის დეკრეტისა შტატს გარეშე იქნებიან დატოვებული ა. წ. ნოემბრის და დეკემბრის ჯამაგირები მიეცეთ პირველ ნოემბრამდე არსებულ ნორმით.

ხსენებულ მოხელეთა სრული ლიკვიდაცია მოხდეს არა უგვიანეს 1920 წლ. იანვრისა.

**სესხი ქ. ლანჩხუთის და ოზურგეთის ერობას.**

ქ. ლანჩხუთის თვითმმართველობისა და ოზურგეთის ერობისათვის გაცემული სესხის ვადათ აღიარებულ იქმნას 5 წელიწადი.

სესხი იქმნეს უპროცენტო მხოლოთ იმ პირობით, რომ ფულის ხარჯვა ხდებოდეს მიწათ-მოქმედების მინისტრის კონტროლის ქვეშ.

**დაბალი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის გახსნა ქ. ლანჩხუთში.**

გაიხსნას ქ. ლანჩხუთში დაბალი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი.

აღნიშნულ სასწავლებლის წინასწარ მოსაწყობათ გადაიდოს მიწათ-მოქმედების მინისტრის განკარგულებაში სესხის სახით 100,000 მ.ნ. ვიდრე სასწავლებლის შტატები და ხარჯთ აღრიცხვა დამტკიცებულ იქმნება საკანონმდებლო წესით.

## შრომის სამინისტროში

### ტარიფის შეცვლის შესახებ.

სატარიფო პალატამ განიხილა საკითხი იმის შესახებ აქვთ თუ არა პროფესიონალურ კავშირებს უფლება შესცვალონ პალატის მიერ დამტკიცებული ხელფასის ტარიფები, და დადგინა:

პალატა იღებს რა მხედველობაში, რომ იგი აწესებს ხელფასს შრომის ყველა დარგებში და მის მიერ დაწესებული ტარიფები სავალდებულოა ორივე მხარისთვის, ხოლო დამქირავებელთა და დაქირავებულთა შორის დადებული კოლექტიური ხელშეკრულებანი, რომელიც ხელფასის დაწესებას ეხება და ეწინააღმდეგება შრომის ამ დარგის თვის დაწესებულ ტარიფს, უკანონოთ ჩაითვლება.

## შინაგან საქმეთა სამინისტროში

### რეგისტრაციისათვის.

ტყვეთ ყოფილნი გერმანელი, ავსტრიელი, ბულგარელი და ოსმალო ოფიცრები და ჯარისკაცები ვალდებული არიან გამოცხადდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ განსაკუთრებულ რაზმის უფროსთან რეგისტრაციისათვის.

ვაცხადებ, რა ამას, ვაფრთხილებ ყველა ზემორე ხსენებულ ოფიცრებს და ჯარისკაცებს, რომ ვინც ერთი კვირის განმავლობაში, დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა, არ გამოცხადდება სარეგისტრაციოთ, მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში არსებულ კანონის თანახმათ.

გამოცხადების ადგილი: შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ განსაკუთრებულ რაზმის კანცელარია, სოლოლაკის და პეტრე დიდის ქუჩების კუთხე.

## იუსტიციის სამინისტროში

### ციხის დათვალიერება.

ხუთშაბათს, იანვრის 8-ს, იუსტიციის მინისტრმა რ. მ. არსენიძემ დეპარტამენტის დირექტორის გ. თ. ჟორდანიასთან, პალატის პროკურორის თ. ა. ალ. ივ. ყანჩელთან, ოლქის სასამართლოს პროკურორის თ. ა. მ. კახდელაკთან, ადმინისტრაციის ინსპექტორთან ს. პ. გეგელაშვილთან და სხვებთან ერთად დაათვალიერა ტფილისის № 2 (მეტეხის) ციხე. მინისტრმა პირადად დაიარა კამერები და მიიღო განცხადებანი ტუსაღებისაგან.

**საპროკურორო ზედამხედველობის თათბირი.**

პარასკევს, 9-ს, იუსტიციის მინისტრის კაბინეტში, მინისტრის რ. მ. არსენიძის თავმჯდომარეობით გაიმართა თათბირი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს სასამართლო პალატის და ტფილისის ოლქის სასამართლოს საპროკურორო ზედამხედველობის წევრებმა.

## მომარაგების სამინისტროში

### საწყობების აღრიცხვა.

მომარაგების სამინისტროს საწყობებში ყოფილ საქონლის ანგარიშში მოყვანა მოკლე ხანში დამთავრდება და სამინისტრო განაახლებს სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებისთვის საქონლის მიცემას.

## მიწათ-მოქმ. სამინისტროში.

### მეცხვარეთა და მესაქონლეთა ყრილობა

თებერვლის პირველ რიცხვებში განზრახულია საქართველოს მეცხვარეთა და მესაქონლეთა ყრილობის მოწვევა. თანახმათ საორგანიზაციო კომისიის სურვილისა, ხსენებულ კომისიაში მიწათ-მოქმედების სამინისტროს წარმომადგენლათ დაინიშნა საიჯარო განყოფილების გამგე გ. ბიბინეიშვილი.

**ყარაიაზის ეროვნულ მამულის მეორე განყოფილებაში სარწყავ არხის დასამთავრებლათ.**

1914 წ. მიწათა გაუმჯობესების განყოფილებამ შემუშავა და დაამტკიცა ყარაიაზის მამულის მეორე განყოფილების მიწების მორწყვის გეგმა. ამ ნაწილის გამოსადეგ მიწების საერთო რაოდენობა დაახლოვებით შეადგენდა 4 830 დესეტინას. ხსენებული გეგმის განხორციელებას 1914 წელსავე შეუდგენ, მაგრამ ჯერ ომისა და შემდეგ რევოლიუციის გამო მუშაობა ვერ იქმნა დამთავრებული.

ამ ჟამათ ყარაიაზის ეროვნულ მამულის პირველ განყოფილების სარწყავ ქსელის ძირითადი შეკეთების მუშაობის დამთავრებით უზრუნველ-ყოფილი იქნება წყლის მიწოდება მე 2 განყოფილების მიწების მოსარწყავათ, რომელთა დიდ მანძილზე (დაახლოვებით 2.000 დესეტინა) სახალხო გვარდიას განზრახული აქვს თავისი საჭიროებისათვის ხორბლეულობის დათესვა. რესპუბლიკაში არსებული სურსათის კრიზისი მოითხოვს ზემოხსენებულ გეგმით ნავარაუდევ სამუშაოს დამთავრებას. მხედველობაში მიღებულია ის გარემოებაც, რომ დაუმთავრებელი და მიტოვებული სარწყავი არხები მალე ფუჭდება, ხამუშევარი დაზიანდება და წყლის არა რეგულიარული მიწოდება დააჭაობებს გარშემო მიწებს. ამიტომ მიწათ-მოქმედების სამინისტროს განზრახული აქვს შეუდგეს ზემოხსენებულ გეგმის განხორციელებას ყარაიაზის ეროვნულ მამულის მეორე განყოფილების მიწების მოსარწყავათ.

საერთო მუშაობის ღირებულება, თანახმათ შედგენილ გეგმისა, ეხლანდელ ფასებში გამოანგარიშებით შეადგენს 8.675.775 მან. 95 კაპ.; თითო დესეტინაზე კი—1.800 მან. გაანგარიშებულია, რომ ეს ხარჯები ერთი წლის განმავლობაში იქნება დაფარული, რადგან, თუ 1 დესეტინა მორწყულ მიწაზე მოვა 60 ფუთი ხორბალი, რომელიც 250 მან. იქნება ნანგარიშევი, ეს შეადგენს 15.000 მან. შემოსავალს თითო დესეტინაზე.

მიწათ-მოქმედების სამინისტრომ მთავრობას წარუდგინა შესაფერი მოხსენება, სადაც თხოულობს 8 675.775 მან. გადადებას ზემოხსენებულ გეგმის განსახორციელებლათ.

## გზათა სამინისტროში.

### ნატანებ-ბათუმის რკინის გზის ხაზზე.

რესპუბლიკის სახაზინო რკინის გზის მილიციის უფროსმა ვრცელი მოხსენება წარუდგინა გზათა სამინისტროს ბათუმ—ნატანების რკინის გზის ხაზზე შექმნილ მდგომარეობის შესახებ.

ხსენებულ ლიანდაგზე ძალიან გახშირებულია ხსვა და სხვა ბოროტ-მოქმედება, განსაკუთრებით საბარგო მატარებელში. ხშირათ ბოროტ მომქმედნი ტვირთის სახით გაგზავნილ ყარიელ ყუთში ათავსებენ ცოცხალ ადამიანს—თავიანთ ამხანაგს, რომელიც გზაში ყუთიდან ამოდის, საბარგო ვაგონს ქურდავს, შემდეგ თან წამოღებულ სპეციალურ ხელსაწყოებით ვაგონს სტეხს და ნაქურდალ საქონლიურთ გზაში იპარება; არის შემთხვევები, როდესაც ტვირთის სახითვე გასაგზავნათ ჩაბარებულ ყუთში მოკლული კაცი აღმოჩენილა, ან და ყუთი სრულიათ ყარიელი ყოფილა, ან გავსილი ყოფილა ქვებით, თუ სხვა გამოუსადეგარ საგნებით. ასეთი შემთხვევები ხაზინას დიდ ზარალს აყენებს, რადგან ასეთი „ტვირთები“, რაკი მათი მიმღები არავინ არის, საწყობებში დიდი ხნობით ინახება, რაც ხარჯს იწვევს.

ყველა ამისგვარ და სხვა ბოროტმოქმედებასთან ბრძოლა ბათუმ-ნატანების რკინის გზის ხაზზე ძნელდება. იმის გამო ადგილობრივი, ბათუმის ოლქის მმართველობის ადმინისტრაცია მილიცია შესაფერისათ ვერ აწარმოებს ბრძოლას ზემოხსენებულ ბოროტმოქმედების წინააღმდეგ, ხოლო სამტრედიიდან მილიციელთა დაბარება კი მიზანს ვერ აღწევს, რადგან ბოროტმოქმედნი უკვე ასწრებენ მიმალვას და მათი აღმოჩენა ძნელდება. ამის გამო სახიზინო რკინისგზათა მილიციის უფროსს საჭიროთ მიაჩნია შესდგეს ბათუმ-ნატანების ლიანდაგის ცალკე სამილიციო შტატი, რომლის პროექტიც მოხსენებას თანა აქვს დართული. პროექტით განზრახულია ხსენებულ ლიანდაგის მილიციის 1 უფროსი, 1 თანაშეწ, 1 საქმის მწარმოებელი, 1 მოამბე და 8 უფროსი და 11 უმცროსი მილიციელი.

---

## ტფილისის მაზრის ეროვნის ხმოსანთა საგჭოს მეორე საგანგებო ყრილობა.

(დასასრული)

შემდეგ ყრილობა იხმენს სარევიზიო კომისიის აქტებს № 1 და № 2. აქტი № 1, შედგენილი გასული წლის 4 ივნისიდან, კომისიას დაემზადებინა 28 სექტემბრის სესიისათვის, მაგრამ, თვით მომხსენებლის დაუსწრებლობისა გამო, იგი მაშინ არ მოხსენებია. ეს აქტი უმთავრესად, ეხება სასურსათო და საბუჰალტრო განყოფილებების მდგომარეობას ერობის არსებობის პირველი ნახევარ წლის განმავლობაში ე. ი. 1919 წ. პირველ ივნისამდე, როცა ერობა ჯერ კიდევ მოწყობის პროცესში იყო და შესაძლებელიც არის, რომ უჩვეულო საქმიანობაში ჰქონებოდა ადგილი რა გაუგებრობას და გაუთვალისწინებლობას ამა თუ იმ განყოფილებისა და პასუხმგებელ პირის მხრივ. დღევანდელ ყრილობისათვის ეს მოხსენება ფაქტიურად სინამდვილესთან დაშორებული აღმოჩნდა და მოსმენილი იყო უფრო როგორც ნიმუში თვით კომისიის ერთგვარ საქმიანობისა.

აქტი № 2 ეხება უფრო განყოფილებათა კანცელარიულ საქმის წარმოების მოუწესრიგებლობას, დამოკიდებულებათა გამოურკვევლობას აგრარულ განყოფილებისას მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან და ადმინისტრატიულისას სამაზრო სამხედრო უფროსის სამმართველოსთან და ზოგიერთ წვრილმან საკითხებს. საპასუხოდ პირველი №-ს აქტისა გამგეობის მდივანი კითხულობს წერილობით ახსნა განმარტებებს გამგეობისას, ხოლო მეორე აქტზე უპასუხებს თვით გამგეობის თავმჯდომარე ბ-ნი ონიაშვილი, აგრეთვე გასულ-გამოცვლისა და კამათის შემდეგ ყრილობას გამოაქვს ასეთი რეზოლიუცია: ყრილობამ მოისმინა ერთის მხრივ სარევიზიო კომისიის მოხსენება, ხოლო მეორეს მხრივ გამგეობის განმარტებანი და მიიღო რა ცნობად კომისიის მოხსენებები, დამაკმაყოფილებლად სცნო გამგეობის განმარტებები და გადადის მორიგ საკითხებზე. ამის შემდეგ სარევიზიო კომისიის სახელით თავმჯდომარე მისი ბ-ნი ჭყონია განუცხადებს ყრილობას კომისიის გადადგომაზე.

საკითხები მომრიგებელ მოსამართლის არჩევნებსა და ჯამაგირების მომატების შესახებ გადაეცემიან სპეციალურ კომისიებში.

ყრილობაზე არამოსიარულე ხმოსნების შესახებ გამომრკვევ კომისიის სახელით აკეთებს მოკლე მოხსენებას ხმ. მაქსიმე ბერძნიშვილი, რომელიც უდგენს ყრილობას დაწვრილებით ცხრილს განვლილ სესიათა სხდომებისას და ხმოსნების მოსიარულობისას ამ სხდომებზე. ცხრილიდან სჩანს, რომ ხმოსნების სესია შემდგარა სულ 4 ჯერ, დღევანდელ სესიამდე დღიდან ერობის დაარსებისა და გამართულა საერთოდ 18 სხდომა (დღევანდელი სესია მხედველობაში არ არის აღებული) ხმოსანთა რაოდენობა უდრის 45 კაცს. აქედან პირველ სესიას დასწრებია 33 ხმოსანი, მეორეს 24, მესამეს 27 და მეოთხეს 27. მოსიარულობის რაოდენობის გამორკვევაში კომისიას აღებული აქვს მაქსიმუმად 16 სხდომა, რომლებზედაც სისტემატიურად არ დასწრებიან შემდეგი 7 ხმოსანი: ი. ბესელიძე, პ. სიროვატკინი, ფ. გასანოვი, მიხ. ქარცივაძე, ივ. ცხელაძე და დემ. კიხაიოვი.

ყრილობა ადგენს: აღნიშნული ხმოსნები ჩაითვალონ გასულად სრულებით ხმოსანთა შემადგენლობიდან, ხოლო მათს ადგილას ყრილობა იღებს შემდეგ კანდიდატებს: მაჭარაშვილი, მანველიძე, ქურდოვანიძე, გძელაძე, მეკოშვილი, კაუტერი და პაპიანცი.

რაც შეეხება ხმოსნებს, მყოფთ იმავე დროს ერობის სამსახურში ჯამაგირზე და ასეთებათ აღმოჩნდენ აგრარულ განყოფილების გამგე ნ. გვანცალაძე და სასურსათო განყოფილების აგენტი იოს. ხაჯიევი. ყრილობამ დაადგინა თანახმად დროებით დებულებისა ამიერ კავკასიის საერობო დაწესებულებებზე მუხ. 158, რომელიც იძლევა უფლებას ხმოსნის დარჩენისას გამგეობის დამხმარეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, დარჩეს ნიკ. გვანცალაძე ხმოსნად და იმავ თანამდებობაზე, ხოლო ხაჯიევს კი მიეცეს წინადადება დაიკავოს ან რომელიმე თანამდებობა და ან ხმოსნობა.

მომრიგებელ მოსამართლეთ მარტყოფის უბნისათვის ირჩევა ნიკ. გვანცალაძე.

თანახმად ხმოსან ა. გალუსტიანის წინადადებისა, ყრილობა ადგენს—აღიძრას სათანადო შუამდგომლობა—რათა უბნის მომრიგებელ მოსამართლეთა კომპეტენციები სოფლათ გაფართოვდეს 50000 მანეთამდე, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში, როცა სოფლად იშვიათი მოვლენაა, რომ ძიების ღირებულება იყვეს 5000 მან. ნაკლებ, მომრიგებელ მოსამართლენი უსაქმოთ დარჩებიან.

საფინანსო კომისიის მოხსენებისა გამო ჯამაგირების მომატებისა და დამატებით ხარჯთაღრიცხვის ვარაუდებზე ყრილობა ადგენს:

1) აგრარულ განყოფილებაში უფროს საქმის მწარმოებლის თანამდებობის შემოღებაზე გამგეობას მიეცეს უფლება ამა განყოფილების შტატებზე რეორგანიზაციის პროექტის წარმოდგენისას (რაიცა ევალება სათანადო გამგეობის წევრს) თუ საჭირო იქნებ შემოიღოს ასეთი თანამდებობა, მხოლოდ კონტროლის დადასტურებით.

2) გამგეობას ეძლევა უფლება მოიწვიოს სასურსათო განყოფილებაში უფროსი საქმის მწარმოებელი.

3) პროვიზორები შეტანილ იქმნან მესამე კატეგორიაში.

4) პროვინციაში მუდმივ მიმოსვლაში მყოფი მეეტლენი შეტანილ იქნან მეხუთე კატეგორიაში, ხოლო ტფილისში მომუშავე მეეტლენი დარჩენ მე-7 კატეგ. ნ არა საეპიდემიო მედიცინის პერსონალს მიეცეთ გაძლიერებული (საეპიდემიო) ჯამაგირები ხოლო თვით ეპიდემიის მძვინვარების დროს.

6) ტეხნიკოსებს მიეცეთ, გარდა ჩვეულებრივი ჯამაგირებისა, პროცენტები შესრულებულ მუშაობაზე—2% რაოდენობით დროებით—1920 წ. 1 ივნისამდე (ამ პროცენტების განაწილება აღნიშნულ თანამშრომელთა შორის ხდება განსაკუთრებულ წესრიგით, რომელიც დამტკიცებულია ყრილობისავე მიერ).

7) მოისპოს თანამდებობანი უფროს-უმცროს ტეხნიკოსებისა და მიღებულ იქნას მათთვის საერთო სახელწოდება ტეხნიკოსებისა

შეტანით მათისა მე-3 კატეგორ. ამავე კატეგორიაში შეტანილ იქნას თანამდებობა ტრანსპორტის გამგისა.

8) სასურსათო განყოფილების პერსონალის დასაჯილდოვებლად ზედმეტ მუშაობისათვის გამგეობას უფლება ეძლევა ხარჯოს ყოველ თვიურად 4000 მან.

9) ბუჰალტერს, მის თანაშემწეს და უფროს მოანგარიშეთ ზედმეტად ჩვეულებრივ ჯამაგირებზე ეძლიოთ ყოველთვიურად თითოს 500 მანეთი.

10) თანახმად სატარიფო პალატის გადაწყვეტილებისა, იყოს მიღებული ყველასათვის 4% მომატება ჯამაგირებზე 1919 წ. 1 ნოემბრიდან.

11) ვანიდან ხმოსანთა საბჭოს ხშირად უხდება შეკრება უფრო ჯამაგირების თაობაზე, მიეცეს უფლება გამგეობას შემდეგში, როცა სატარიფო პალატის მიერ იქნება შეტანილი ცვლილება ჯამაგირებში, და გამგეობა ამას არა სცნობს გადამეტებულად და კრების მოწვევა ამასთანავე იქნება მოუხერხებელი, თვით (გამგეობამ) გაიღოს ეს მომატება თავის პასუხისმგებლობის ქვეშ.

12) სატარიფო პალატის იმ დადგენილების გამო, რომ ყოველმა დაწესებულებამ და წარმოებამ უნდა შეიტანოს თავის მოსამსახურეზე (კაცის თავზე) ათასი მან. სასურსათო ფონდში, ევალება გამგეობას გაეცნოს და გამოარკვიოს ეს საკითხი და თუ გამოირკვევა, რომ ეს სავალდებულოა, შეიტანოს;

13) მედიკო-სანიტარულ პუნქტების დარაჯნი შეტანილ იქნან მერვე კატეგორიაში;

14) ერობის ცენტრალურ სააფთიაქო საწყობის მოსაწყობად გაღებულ იქნას 78900 მ.;

15( დამატებით ჯამაგირათ ექმს, ხმოსანთა და მოსამსახურეთა ექიმობისათვის მიეცეს თვიურად ორი ათასი მან. წამლობა მიეცეთ უფასოდ ერობის ხარჯზე (წესრიგი ექიმობისა და წამლობისა სწარმოებს გამგეობის მიერ მიღებულ წესრიგით, რომელსაც ყრილობა ამტკიცებს);

16) დღიურ სახარჯოებათ მოსამსახურეებს პროვინციაში მოგზაურობის დროს ეძლიოთ ასი მან. დღეში, ხოლო მიმოსვლისა ნამდვილის ღირებულობით.

ხმოსნებს, პროვინციიდან ჩამოსულთ ყრილობებზე და სხვა მინაგვარ შემთხვევებში მიეცეთ თითოს 150 მან.;

17) ტეხნიკოსებს ეძლიოთ დღიურები მხოლოდ იმ დროს, როცა გადიან სამუშაოთ თავთავიანთ ფარგლების გარეთ;

18) გამგეობის წევრებს და უფროს კანტროლიორს ჯამაგირი თითოს თვეში 6,000 მ. ხოლო თავმჯდომარეს წარმომადგენლობისათვის 3500 მ.;

19) ადმინისტრაციის მოულოდნელ ხარჯებისათვის გაღებულ იქნას 6340 მან. თვეში;

20) მიღებულ იქნას აგრონომიულ განყოფილებისათვის შემდეგი ხარჯთაღრიცხვა (სიძვირის გამო): საჩვენებელ მინდვრებისათვის 19,200 მან., ხეხილის სანერგისათვის 65000 მან., თესლეულობისა და პატივისათვის 8800 მან., წავკისის სანერგესათვის 6000 მან., სამეურნეო მანქანების გასაქირავებელ პუნქტებისათვის 40,200 მან., მანქანების შესაძენად 50,000 მან., ბაღ ვენახის წამლობისათვის 18,000 მან.;

21) გაუქმებულ იქნას თანამდებობა რუსულ სკოლების ინსტრუქტორისა, რომლის თანამდებობის აღსრულება ეკისრება არა-ქართულ სკოლების ინსტრუქტორს.

ამ რიგად მთელი ვარაუდი დამატებითი ხარჯთაღრიცხვისა, მიხედვით მიღებულ ცვლილებებისა საახგარიშო წლის ბოლომდე უდრის 2,811,330 მან.

შემდეგ ყრილობა ერთხმად ამტკიცებს მთავარ კანტროლიორის თანამდებობაზე ა. ს. კეკელიძეს.

**მიმდინარე საკითხები:**

1) ხმოსან ჭყონიას მიერ აღძრული საკითხი მოსამსახურეთა კატეგორიების ძირიანად გადასინჯვაზე გადაიდება შემდეგ სესიისათვის;

2) ხმოსან სტურუას მიერ აღძრულ საკითხის მოგვარება სესიების ოქმების და ანგარიშების ცალკე წიგნად გამოცემაზე ევალება გამგეობას, რომელიც გამოსცემს ამა თუ იმ გზით;

3) გამგეობის წევრ გაგუას მიერ აღძრულ შუამდგომლობას — ადმინისტრატიულ განყოფილებაში საქმის მწარმოებლის მეორე თანაშემწის თანამდებობის შემოღებაზე სამხედრო მაგიდის გასაძღოლად ყრილობა იღებს და ამტკიცებს;

4) შედეგად ხმოსან ასათიანის მოხსენებისა სამუშაო კომისიების დაარსების საჭიროებაზე ცალ ცალკე დარგისათვის შესდგა 7 კომისია, რომლებშიაც ხმოსნები ეწერებიან სურვილი სამებრ აგრარული (6 ხმოსანი), განათლებისა (4 ხმ.), იურიდიულ ადმინისტ. (4 ხმ.), სასურსათო (6 ხმ.), მედიკო-სანიტარული (4 ხმ.), ტეხნიკური (5 ხმ.) და აგრონომიული (7 ხმ.) ყოველ თითოეულ კომისიის მოწვევა ევალება გამგეობის სათანადო წევრს და პირველი მოწვევა უნდა მოხდეს არა უგვიანეს ორი კვირისა დღიდან ამა დადგენილებისა; კომისია თვით ირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც შემდეგ უძღვება მუშაობას, მდივანს იწვევს კომისია საჭიროების დაგვარად; გამგეობის წევრი უნდა ესწრებოდეს კომისიის მუშაობას და კომისიას ეძლევა უფლება მცოდნე პირის მოწვევისა მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად;

5) შემდეგ ხდება სარევიზიო კომისიის არჩევნები, რომელშიაც ყრილობა ასახელებს და ირჩევს არჩ. ბილანაშვილს, გ. ჯ. ლაურს, კ. ჭყონიას, აშოთ გალუსტიანცს დ. მაჭავარიანს; ამ კომისიის პირველ სხდომის მოწვევა ევალება საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს;

6) ხდება აგრეთვე არჩევნები ფინანსიურ კომისიისა, რომელშიაც შედიან ი. ზოდელავა მაქ. ბერძნიშვილი, ალ. არუთინოვი, ვას. კანჯარაშვილი, ლ. ასათიანი, არჩ. ბილანაშვილი და გ. ჯილაური.

ნაცვლად გასულ გამგეობის შემადგენლობიდან წევრ ლ. მამულაშვილისა ყრილობა ფარული კენჭის ყრით ირჩევს გამგეობის წევრად მედ.-სან. გამგე ექიმს ი. ლომოურს;

7) ყრილობავე ასახელებს გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეთ წევრს გ. ი. კანდელაკ;

8) ხმოსანთა საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეთ ყრილობა ფარული კენჭის ყრით ირჩევს ხმოსანს ლ. ვ. ასათიანს;

9) ფურაჟის მიმატება, ცხენოსან მილიციონერთათვის, კრედიტების ფარგლებში მიენდოს გამგეობას;

შემდეგ ყრილობა ისმენს ხმოს. მ. ჯილაურის მოკლე მოხსენებას მინდვრის თაგვის საშიშროებაზე და მოითხოვს მიღებულ იქნას სასწრაფო ზომები, რასაც ყრილობა ავალებს გამგეობას.

ყრილობის დასასრულ ბ-ნი ონიაშვილი ცალკე განცხადებით მიაქცევს რა ყრილობის ყურადღებას ვას. ბარნოვის მოღვაწეობაზე ლიტერატურულ დარგში და მსახიობ ნინო ჩხეიძისას სამშობლო სცენაზე, რომელთადმი თავისი ღრმა პატივისცემა ქართულმა საზოგადოებამ აღნიშნა ჯეროვან საიუბილეო დღესასწაულების გამართვის ახლო წარსულში, მოითხოვს—ხმოსანთა ყრილობამაც აღნიშნოს მათი განვლილი დღესასწაული რაიმე სახით. ბ-ნი ონიაშვილი სხვა შორის გაახსენებს ყრილობას რომ ლიტერატორის სამშობლო სოფელი არის ტფილისის მაზრის სოფ. კოდა.

ყრილობა ადგენს: ეძღვნათ ლიტერატორ ვას. ბარნოვს და მსახიობ ნინო ჩხეიძე სამსამი ათასი მანეთი ტფილისის მაზრის ერობის ხმოსანთა მეორე საგანგებო ყრილობისაგან და ამასთანავე გაეგზავნოთ სახსოვრად ამა ყრილობის ფოტოგრაფიული (ჯგუფი) სურათები, ხოლო ვას. ბარნოვის სამშობლო სოფლის საერობო სკოლას დაერქვას ლიტერატორ ბარნოვის სახელი.

## მუშათა კავშირებში.

**კავშირთა საბჭო.**

საქართველოს პროფ. კავშირთა საბჭომ 8 იანვრის კრებაზე დაადგინა ეცნობოს მუშათა კლუბის კომისიას, რომ მუშათა კლუბის მოსაწყობათ ყოველივე ნაბიჯები უნდა ტარდებოდეს საბჭოს საშუალებით. არჩეულ იქნა კომისია კლუბის რევიზიისათვის.

**სეკრეტარიატის დადგენილება.**

ცენტრალურ მომრიგებელ კამერის ხარჯთაღრიცხვის შესახებ დადგენილ იქნა სეკრეტარიატის 5 დეკემბრის დადგენილებანი დარჩეს ძალაში და დადგენილების ასლი ხელმეორეთ გაეგზავნოს მომრიგებელ კამერის მუშათა სექციებს.

**ფონდის შესახებ.**

პროფ. კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატმა შემდეგი მისწერა მომარაგების სამინისტროს და სატარიფო პალატას: მიუხედავათ იმისა, რომ მუშებმა და პროფ. კავშირებმა მრავალჯერ მიმართეს მწარმოებლებს სასურსათო ფონდში თითეულ მუშაზე 1000 მან. გადასახადის შესახებ, ბევრ მათგანს ჯერაც არ შეუტანია ეს თანხა; როგორც თვითონ მწარმოებლები ამბობენ მომარაგების სამინისტრო და სატარიფო პალატა ვითომ არ თხოულობენ ამას. მწარმოებლების მხრივ ასეთ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ვ თხოვთ მომარაგების სამინისტროს და სატარიფო პალატას მოახდინოთ ულტიმატუმის სახით შესაფერი განკარგულება და დაუნიშნოთ დრო როცა მათ უნდა შეიტანონ ხსენებული თანხა".

# სენატში

საქართველოს სენატის სისხლის სამართლის დეპარტამენტში 1920 წ. იანვრის 15 ს დანიშნულია მოსასმენად შემდეგი საქმეები:

1. საქ. № 3. საკასაციო საჩივარი ოლლა ლიტკინისა სოხუმის 1 უბნის მომრიგებელ მოსამართლის განაჩენზე, ბრალდებულ ლეონილა იეფოვის საქმის შესახებ. ბრალდება დანაშაული, გათვალისწინებული 169 მუხ. სასჯ. დებ.

2. საქმ. № 34. საკასაციო საჩივარი ბრალდებულ ანტონ გიორგის ძის ნოვრუზაშვილისა დამცველის ნაფ. ვექ. მაქსიმოვისა ტფ. სასამართლო პალატის განაჩენზე. ბრალდება დანაშაული, გათვალისწინებული 1455 მუხ. სასჯ. დებ.

3. საქმე № 45. საკასაციო საჩივარი გიორგი სოლომონის ძის ჯავროვისა ტფ. სამოსამართლო პალატის განაჩენზე, ბრალდებულ დავით ჩისლიევის შესახებ. ჩისლიევს ბრალდება დანაშაული, გათვალისწინებული 1 ნაწ. 1059 და 1466 სასჯ. დებ.

4. საქ. № 94. საკასაციო საჩივრები ბრალდებულთ უსეინ მამედ-ოღლისა და ბრალდებულთ ივანე გელეიშვილის და გეიდარ ალი-ოღლის დამცველის ნაფ. ვექ. ყორლანოვისა, რომელთაც შემოუერთდათ ბრალდებული უმბათ-მეხტი-ოღლი, ტფილისის დროებით საგანგებო სასამართლოს განაჩენზე. ბრალდებულნი ცნობილნი არიან დამნაშავედ, თანახმად სასჯ. დებ. 1629 და 1632 მუხ.

# უცხოეთში

**შვეიცარიის ჟურნალი საქართველოს მეღვინეობის შესახებ.**

„ჟურნალ დ, ორიან"-ი საქართველოს მეღვინეობის შესახებ სწერს:

„საქართველოში მეღვინეობა უაღრესათ განვითარებულია, მაგრამ უკანასკნელ წლებში ჩამოქვეითდა, ამ ჟამათ კი ისევ აღორძინების გზაზეა დამდგარი. ვინახებს საქართველოში ამ ჟამათ უჭირავს 65,500 ჰექტარის სივრცე. წლიურათ ღვინის წარმოება უდრის 15 მილიონ ჰექტოლიტრს. ამას გარდა 8 მილიონ ჰექტოლიტრ ალკოჰოლს ამუშავებენ ღვინის ნაწურისაგან. თითქმის მთელი ალკოჰოლი ერთიანათ და ღვინის ნახევარი ბაზარზე გადის.

**ბრძოლა სირიის დამოუკიდებლობისათვის.**

ინგლისურ გაზ. „მორნინგ პოსტ"-ის დეკემბრის 9 ის ნომერში დაბეჭდილია ცნობა, რომ დამასკოში (სირია) დიდი დემონსტრაცია მოხდა ფრანგების წინააღმდეგ. როდესაც ამ ქალაქში შეკრებილმა სირიელთა კონგრესმა ცნობა მიიღო, რომ ბეირუთიდან და ზღვის ნაპირის სხვა ქალაქებიდან დამასკისკენ ფრანგების ჯარი მოდის, თავისი თავი მთელი სირიის დამფუძნებელ კრებათ გამოაცხადა, ხოლო სირიის მეფეთ—ემირ ფეიზულა. ბრიტანიის ჯარების მთავარ სარდალმა დიდი წვალებით მოახერხა სისხლის ღვრის თავიდან აცილება. იასინ ფაშა ელ გაზიმი, რომელიც სირიის დამფუძნებელ კრებამ გენერალ გუბერნატორათ დანიშნა ბრიტანიის ჯარების მთავარ სარდალმა დამასკიდან გააძევა. ამან დიდი მღელვარება გამოიწვია; 100 000 კაცისგან შემდგარმა პროცესიამ ქალაქი გაიარა, იასინ ფაშას განთავისუფლებას მოითხოვდა. სირიაში საშიშო მდგომარეობა შეიქმნა, სირიიდან მოსული ცნობები მოწმობს, რომ სირიელთა დიდი უმეტესობა სირიის დამოუკიდებლობას მოითხოვს.

**იტალიური გაზეთი საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა შესახებ.**

იტალიურ გაზ. „La Triduna Coloniale" ში 3 წერილი დაბეჭდა საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა შესახებ. უკანასკნელი წერილი ეხება საქართველოს ქვა ნახშირის და წყლის ძალების შესახებ ელექტრონის ენერგიის გამოსაყენებლათ.

**ოსმალეთის მთლიანობისათვის.**

სტამბოლის ფრანგული გაზ. „L'Entente"-ის 30 დეკემბრის ნომერი იუწყება, რომ ოსმალეთის აღმოსავლეთის ნაწილში, ანატოლიაში, დიდ მღელვარება გამოუწვევია მოკავშირეთა გადაწყვეტილებას, რომ მოკლე ხანში შეუდგენენ ოსმალეთის ბედის გადაწყვეტას. მრავალ ადგილას გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგები, სადაც მოითხოვდენ ოსმალეთის მთლიანობის დაცვას.

# წერილი რედ. მიმართ.

მოქ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით დიდი მადლობა გამოუცხადო ქვემო აღნიშნულ პირთ და დაწესებულებებს, რომელთაც კეთილ ინებეს და წვლილის გამოღებით დახმარება გაუწიეს უკვდავ ბელეტრისტ ეგ. ნინოშვილის სახელობაზე არსებულ ... ქალაქ ... (გურია) უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს.

ნიგოითის თემის ხმოსანთა საბჭომ 200 მ., ნიგოითის კულტურულ წრის გამგეობამ 200 მან., ჩოლობარგის მომხმარებელ ამხ. გამგეობამ 100 მან. სტ. ნიკოლაიშვილმა 100 მან., ვ. ჩიჩუამ 50 მან., ნ. ლორიამ 50 მან., ესე ფირცხალაიშვილმა გამოუწერა გაზეთი „ერთობა" 2 თვით. ილიკო დუმბაძემ 100 მან. მიხელ წულაძემ 50 მან. კოწია წულაძემ 50 მან. ჯ. 50 მან.

გამგეობის თავმჯდომარე **სტ. ნიკოლაიშვილი.**


## ნ ა ნ ც ხ ა დ ბ ე ბ ა ნ ი

დაკარგულია სახელმწიფო ბანკის კანტორის კვიტანცია № 52432, მიცემული ეფრემი ვარაქევის სახელზე, კვიტანცია გაუქმებულათ ჩაითვალოს. 21 3—2

ანტონ იაკობის ძე ბანეთიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მეტრიკული მოწმობა და პასპორტი, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 42 3—1

ოგანეზ იაკობის ძე კაზარიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი აღებული ქ. ყარსში, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 45 3—1

იაკობ ალექსანდრეს ძე მღებროვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი № 3202, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 47 3—1

მიხეილ თომას ძე ნიკურაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი აღებული ქუთაისის ოლქის სასამართლოდან 1919 წ. ნოემბრის 8-ს № 2168. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 52 3—1

ალექსი მამისთვალის ძე ჩაჩუა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, აღებული ს. ოფეთში, გომის საზოგადოებიდან (ქუთაისის მაზრა). პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 53 3—1

აბრამ გასპარის ძე ანფოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა № 854, აღებული სახელოსნო სკოლის კანცელარიიდან 1919 წ. ნოემბრის 21-ს. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 44 3—1

გიორგი ზურაბის ძე დოლიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა იარაღის ტარების მოწმობა № 132, აღებული ფოთის სახალხო გვარდიის შტაბიდან. ნებართვა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 51 3—1

ფედორა პავლეს ასული სკალევსკაია აცხადებს რომ მან დაჰკარგა პასპორტი, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 50 3—1

ასლან ბესარიონის ძე გურული აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, ზესტაფონის ერობიდან აღებული მოწმობა და ფული 800 მანეთი. პასპორტი და მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. (უ) 3—1

მარკოზ დოკვაძე აცხადებს, რომ მან გოლოვინის პროსპექტზე დაჰკარგა პასპორტი და ფული 600 მანეთი. მპოვნელს სთხოვენ ფული დაიტოვოს პასპორტი კი გაუგზავნოს პატრონს შემდეგი მისამართით: გოლოვინის პრ. სასტუმრო „26 მაისი" მ. დოკვაძეს. წინააღმდეგ შემთხვევაში პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 39 3—1

ქ. ტფილისის პირველი სამომრიგებლო უბნის ბოქაული გ. ბარუტოჩევი აცხადებს რომ 1920 წ. იანვრის 24-ს, დილის 10 საათ. ანანურის შესახვ. სახ. № 7 საჯაროთ გაიყიდება გარდაცვალებულ კონსტანტინე ორლოვსკის უძრავი ქონება, რომელიც შეიცავს ტანისამოსს და სხვ. ნივთებს, შეფასებულს 1452 მან. 9 კ. 48 1—1

სტეფანე იესეს ძე ქილიფთარი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი № 141, აღებული ოზურგეთის სამაზრო კომისარიატიდან და სამხედრო ბეგრის მოხდის მოწმობა № 1370, აღებული მცოთხე პოლკის კანცელარიიდან 1917 წ. ივნისის 26 ს. პასპორტი და მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 40 3—1

ალექსანდრა ტერენტის ასული ალიმბარაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 16568, აღებული ტფილისის მილიციის სამმართველოდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 41 3—1

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სახლები**, მამულები, აგარაკები, ფაბრიკები, ქარხნები, წისქვილები და სხვ. **ვისაც უნდა მალე გაყიდოს ან იყიდოს** უნდა მიმართოს **ინტელიგენტთა ჯგუფს.** მდიდარი კლიენტურა. სურვილის მიხედვით უძრავ ქონების გასინჯვა სპეციალისტ ინჟენერის მიერ. ტფილისი, დავითის ქ., № 3, ბ. 2, 11—2 საათ., 5—7 საათ., ტელეფ. 2—28.

23 1—1

---

აკაკი გურგენიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 232, აღებული რაჭის მაზრის ს. ზემოთლულის საზოგადოებიდან, სტუდენტების სასადილოსათვის ქალაქის მართველობიდან პურის გამოტანის (9 ფუთი) ნებართვა (მოწმობა). მოწმობა და პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს.

37 3—1

---

სოხუმის ქალაქის საბჭოს 1919 წ. 22 დეკემბრის დადგენილების თანახმათ, ეკრძალებათ ქ. სოხუმში შესვლა ყველა იმ პირთ (დამოუკიდებლათ ქვეშევრდომობისა) რომლებიც დაკავშირებული არ არიან ქ. სოხუმთან სახლის პატრონობით, ან სამრეწველო მოქმედებით, აგრეთვე სახელმწიფო, საზოგადო და კერძო სამსახურით და თავისუფალ პროფესიით.

ყველა ის პირნი, რომელთაც არ აქვთ აღნიშნული უფლება ქ. სოხუმში შესვლისა, დაუყონებლივ გაძევებულ იქნებიან ქალაქიდან.

25 2—1

---

ქალ. ზესტაფონის დარაჯი ანთიმოზ იოსების ძე გიჩეჩილაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 2070 და იარაღის ტარების მოწმობა № 246. მოწმობა და პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს.

38 3—1

---

ქ. ტფილისის მე-16 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იბარებს გარდაცვალებულ ელიზავეტა თათევოზას ასულ კაიტმაზიანცის მემკვიდრეებს, წარმოსადგენათ თავიანთ უფლებისა ვადაზედ, თანახმად 1241 მუხ. ძალ. 1 ნაწ. X ტ. (სამოქ. კრებ. კან. გამოც. 1887 წელს).

114 1—1

---

ქ. ტფილისის მე 16 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იბარებს გარდაცვალებულ გიორგი ბესარიონის ძე ხორბალაძის მემკვიდრეებს, წარმოსადგენათ თავიანთ უფლებებისა ვადაზედ, თანახმად 1241 მუხ. ძალ. 1 ნაწ. X ტომ. (კრებ. კან. გამოც. 1887 წელს).

113 1—1

---

პლატონ ოქროპირის ძე ხარატიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული შორაპნის მაზრა სოფ. ლვერკის კომისარისგან 8/XII 1919 წ. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს.

24 3—1

---

აბაშის საზოგადოების ერობის გამგეობა აცხადებს რომ არსენი საბას ძე თოფურიამ დაჰკარგა უვადო „პასპორტი“ გაცემული აბაშის საზოგადოების სამმართველოდან 1914 წელში 20 მარტს № 25, რომელიც ჩაითვალოს გაუქმებულათ.

8 1—1

---

ქ. სოხუმის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს ანასტასია ივანეს ასულის კარაპულოს მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება კარაპულოს ქონებაზე სამ. კან. კრებულის 1 ნ. X ტ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში.

268 1—1

---

აფხაზეთის მიხეილის უბნის მომრიგებელი მოსამართლე სამოქ. კან. კრებ. მე-1239 და 1241 მუხ. ძალით იწვევს ხარლამპი ივანეს ძე ლიაილიას მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ლიაილიას ქონებაზე ექვსი თვის ვადაში დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა.

266 1—1

---

ქ. სოხუმის 1 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ნადეჟდა თეოდორეს ასულის იახოპულოს მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება სამ. კან. კრებ. 1 ნ. X ტ. მე-1239 და 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში.

278 1—1

---

ქ. სოხუმის 1 უბნის მომრიგებელი მოსამართლე აცხადებს, რომ ვექილობა მიცემული ელენე ვასილის ასულის გაბუნიას მიერ აღექსანდრე თეიმურაზის ძე გაბუნიაზე და შედგენილი სოხუმის ნოტარიუს ზატვორნიცკისთან 1919 წ. თებერვლის 21-ს, რეესტრი № 280, გაუქმებულია.

279 1—1

---

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში ოლლა იაგორას ასულმა ძამაშვილმა შემოიტანა განცხადება, რომ მისი ქმარი ქრისტესია იაკოფის ძე ძამაშვილი, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1920 წელს უკვალოდ დაიკარგა 1910 წლიდგან, რის გამო აღნიშნული ოლლა იაგორას ასული ძამაშვილისა თხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა, ვინც კი იცის დაკარგულ ქრისტესია იაკოფას ძე ძამაშვილის მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით, სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების 2 თვის განმავლობაში.

32 1—1

---

ელენე ხელაძისა და დარია ლეონიძისა აცხადებენ, რომ ნდობის ქაღალდი მიცემული მათ მიერ გიგო ჯავროვის სახელზე და დამტკიცებული თელავის ნოტარიუსის, პოზოევის მიერ. 1919 წ. დღიდან ამ განცხადებისა გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს.

34 3—2

---

ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ავაკოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, აღებული კარიაგინის (ელისავეტპოლის გუბ.) მაზრის სამხედრო ბეგრის უფროსის კანცელარიიდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს.

31 3—2

---

მუხტარ-ალი ოლლი აცხადებს, რომ მან ყარაიაზში დაჰკარგა ხალიჩა, რომელიც ღირდა 15000 მ. ხალიჩის ზომა: სიგრძით $3^1/_2$ არშინი სიფართით $1^1/_2$ არშინი.

30 3—2

---

აბრამ პეტრეს ძე ვეისბრუტი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ქალიშვილის, ალისასი, დაბადების და ნათლობის მეტრიკული მოწმობა. დაბადებულია ქ. დონის როსტოვში 1914 წ. იანვრის 4 ს, მონათლულია იმავე წელს მარტის 6-ს როსტოვის ლიუტერანების ეკლესიაში. მონათლეს შემდეგ პირებმა: ნაფ. ვექ. მიხეილ ბთრისის ძე სმირნოვმა და ანდრია მათეს ძე ლეჟავამ. დაკარგული მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს.

3—2 46

---

დაკარგულია ტფილისის პირველი კერძო ლომბარდის კვიტანცია № 85923, 300 მანეთისა. კვიტანცია გაუქმებულათ ჩაითვალოს.

27. 3—2

---

დაკარგულია ფარცხანაყანევის თემის გამგეობიდან გაცემული მოწმობა № 711. პორფილე ნუცუბიძის სახელზე მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს.

19 3—2

---

შალვა მათეს ძე ბილიხოძე აცხადებს, რომ მან სუფსიდან ოზურგეთში მოგზაურობის დროს დაკარგა პირადობის მოწმობა, აღებული ჯუმათის სოფლის სამმართველოდან. მპოვნელს სთხოვენ გაუგზავნოს პატრონს შემდეგი მისამართით: ს. ჯუმათი (ოზურგეთის მაზრა) წინალმდეგ შემთხვევაში გაუქმებულათ ჩაითვალოს.

18 3—2

---

ნიკიფორ ონოფრეს ძე მანაგაძე აცხადებს, რომ მან ტფილისის სადგურზე დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა № 5919, აღებული ოქტომბრის 27 ს 1919 წ. ტფ. სამხედრო უფროსის კანცელარიიდან, საფულე ტყავის და სხვა ნივთები. მპოვნელს სთხოვენ დაუბრუნოს პატრონს შემდეგი მისამართით: ქალთა მეორე გიმნაზია გიორგი ახვლედიანს. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულათ ჩაითვალოს.

33 3—2

---

# ვეძებ ადგილს

სახელმწიფო, საზოგადო ან კერძო დაწესებულებაში საქმისმწარმოებლის, რეგისტრატორის, მანქანით გადამწერის ან სხვა თანამდებობაზედ. მისამართი: სასტუმრო „საქართველო“, 19 თებერვლის ქ. ს. ებრალიძე. 3—1

---

ხუთშაბათს, იანვრის 15-ს დილის 11 ს. „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის ბინაზე დანიშნულია საჭარო ვაჭრობა ძველ გაზეთებზე დაახლოებით 30 ფუთი. 2—1

---

**სახლები,** მამულები, აგარაკები, ფაბრიკები, ქარხნები, წისქვილები და სხვ. ვისაც უნდა მალე გაყიდოს ან იყიდოს, უნდა მიმართოს ინტელიგენტთა ჯგუფს. მდიდარი კლიენტურა. სურვილის მიხედვით უძრავ ქონების გასინჯვა სპეციალისტ ინჟენერის მიერ. ტფილისი, დავითის ქ, №, 3, ბ. 2, 11—2 საათ., 5—7 საათ., ტელეფ. 2—28.

23 1—1

---

ეკატერინე გიორგის ასული გარსევანაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი. მპოვნელს სთხოვენ გაუგზავნოს პატრონს შემდეგი მისამართით: საბურთალო, გარსევანიშვილს, მე-13 კომისარიატი. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულათ ჩაითვალოს.

9 3—3

---

სტუდენტი აკაკი სიგუა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მატრიკული № 162. გაუქმებულად ჩაითვალოს.

3—3

---

ლევან არუთინის ძე გაბრიელიანცი აცხადებს, რომ დეკემბრის 31, 1919 წ. მის სახლიდან გაიპარა, მეუღლე (შუშანიკ ეგიასაროვისა) და თან წაიღო ძვირფასი ნივთები, მათ შორის მეტრიკული მოწმობა და პასპორტი, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 15 3—3

---

მიხეილ ალექსის ძე დათეშიძე აცხადებს რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა ამბროლაურის კომისრის კანცელარიიდან აღებული და სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა. მოწმობები გაუქმებულად ჩაითვლება.

29 3—1

---

გაიკ გასპარის ძე ბაღდასარიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ტფილისის მილიციის სამმართველოდან, მეტრიკული მოწმობა მიღებული ქ. ერევნის კონსისტორიიდან და სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა მიღებული მაგილევის გუბერნ. 117 იარალლავის პოლკის კანცელარიიდან. საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს.

6 3—3

---

მიხეილ გრიგოლის ძე ჟიტინი აცხადებს, რომ მან დაკარგა წყნორის წყლის ახლოს ფულათ 820 მანეთი, პეტერბურგ-იაროსლავის საბირჟო არტელის ხელწერილი 1365 მანეთის საქართველოს რკინის გზის სამმართველოდან აღებული მოწმობა, იმაში რომ ჟიტინი იყო, ყოფილი ამიერ კავკასიის სახაზინო გზების მთავარი კასის არტელშჩიკი და პასპორტი აღებული რუსების ეროვნულ საბჭოდან. მპოვნელს სთხოვენ დააბრუნოს დოკუმენტები შემდეგი მისამართით: ტფილისი რომანოვის ქუჩა № 27, ან ს. წყნორის წყალი, ერობაში თომა მიხეილის ძე კევლიშვილს, ფული კი თავის სასარგებლოთ დაიტოვოს. წინააღმდეგ შემთხვევაში საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს.

16 3—3

---

# სახელმწიფო თეატრი

**ოპერა ს. ი. ევლახიშვილის** ხელმძღვანელობით.

სამშაბათს, იან. 13, ვოლ-ლევიცკაიას, ალჩევსკაიას, როგაჩევსკის, საბინინის, ქარცივაძის მონ.

## ფაუსტი და ვალპურგიის ღამე.

ოთხშაბათს იანვრის 14, ზალიპ სკის ბენეფისი „ფრა-დიავოლო“. ხუთშაბათს იანვრის 15, „აბესალომ და ეთერი“ პარასკევს, იანვრის 16, „ქეთო და კოტე“, შაბათს, იანვრის 17 ოპერა მუშებისათვის „თქმულება შოთა რუსთაველზე“, კვირას, იანვრის 18, თარხან-მოყრავის ბენეფისი „ტრავიატა“.

20

---

**თანახმად მთავრობის 30 დეკემბრის დადგენილებისა**

# სამეო სამმართველოს სასინჯო განყოფილება

ამით აცხადებს, რომ ყველა ოქრო-ვერცხლის ნაწარმოებზედ დროებით შემოღებულია შემდეგი სასინჯო გადასახადი.

| | | |
|---|---|---|
| მისხალ ოქროზე | შინაური ნაწარმოებზე | 10 მან. |
| | უცხოეთის „ | 20 მან. |
| | ზოდი | 2 მან. |
| | ფურცლები ქაღალდით | 2 მან. |
| | ფურცლები უქაღალდოთ | 10 მან. |
| | წინასწარი თითო სინჯი | 10 მან. |
| ოქროს საათებზედ ციფერბლატით. | $33^1/_2$ მილიმეტრამდე | 50 მან. |
| | $33^1/_2$ მილიმ. ზევით | 100 მან. |
| მისხალ ვერცხლზედ. | შინაური ნაწარმოები | 1 მან. |
| | უცხოეთის | 2 მან. |
| | ზოდი | 25 კ |
| | ფურცლები ქაღალდით | 50 კ |
| | ფურცლები უქაღალდოთ | 2 მან. |
| | წინასწარი თითო სინჯი მუფელით | 5 მან. |
| | „ „ „ გეილიუსაკის წესით | 10 მან. |
| | საათები ყველა ზომისა | 25 მან. |

3—2 15

---

# საქართველოს სახაზინო რკინის გზათა მმართველობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ა. წ. 29 იანვარს დილის 10 საათიდან, ტფილისის ცენტრალურ საწყობში გაიყიდება გაუტანელი ტვირთი და ბაგაჟი.

**ტვირთი:** გომიდან—ტფილისი, რიგ. № 689, სატვ. ბარ. № 115418, გამგზავნელი (ქალაქთა კავშირი), მიმღები—სახალხო გვარდიის შტაბი, 152 ც. ბზე წონით 398 ფ.

გორიდან—ქუთაისი, რიგ. № 665, სატვ. ბარ. № 96664 (გამგზავნელი ა. ჯულაბოვი, მიმღები ნ. ბეთან ოვი) 8 ც. ქაღალდი შესახვევი 20 ფ. ახალსენაკიდან—ფოთი, რიგ. № 660, სატვ. ბარ. № 30799 (გამგზავნელი ა. გვაძებია, მიმღები ა. გვაძებია) 2 ც. ფოტოგრაფიული აპარატი 9 ფ 20 გ.

**უსაბუთო ტვირთი:** აქტით სადგ. ტფილისი, № 2995, რიგ. № 670, 68 ც. მუხის ქერქი 213 ფ. აქტით სად. ტფილისი № 31 0 რიგ. № 690, 39 ც. ბზე 69 ფ. აქტ. სად. ტფილისი № 2988, რიგ. № 669 20 ც. ცარიელი ყუთები 10 ფ. 18 გ.

**ბაგაჟი:** კოპიტნარიდან—ციგვერი, № 7148, რიგ. № 642, 1 ც.—37 გ. ქუთაისიდან—ციგვერი № 3245, რიგ. № 688—1 ც.—4 ფ. 25 გ. სადახლოდან—სანაინი № 12557, რიგ. № 675, 1 ც.—20 გ. სადახლოდან—ტფილისი, № 12712, რიგ. № 677 1 ც.—2 ფ. 5 გ. სანაინიდან—ტფილისი № 11984, რიგ. № 675, 1 ც.—35 გ. ბორჯომიდან—ტფილისი, № 53749, რიგ. № 674, 1 ც.—15 გ. აბაშიდან—ტფილისი, № 41638 რიგი 686, 1 ც.—2 ფ. სალოღლიდან—ტფილისი, № 82752, 3 ც.—4 ფ. 20 გ. ქუთაისიდან—ტფილისი № 51872, რიგ. № 656 2 ც. 3 ფ. 19 გ.

ხელ სატარებელი ბარგი ბარგის შესანახი ოთახიდგან: აქტით სად. ტფილისი № 727, რიგ. № 683 (კვიტანციით № № 11, 134514, 13, 1, 10, 8) 6 ც. წონ. 4 ფ. 7 გ. აქტით სად. ტფილისი, № 728, რიგ. № 682 (კვიტანც. № № 36314, 6, 5) 5 ც.—6 ფ. 32 გ. აქტით სად. ტფილისი, № 723, რიგ. № 680 (კვიტ. № 33072) 1 ც.—15 გ. აქტ. ს. ტფილისი № 724, რიგ № 681 (კვიტ. № 35512) 1 ც. 1 ფ. 20 გ. აქტ. ს. ტფილისი, № 722, რიგ. № 679 (კვ № 36001) 1 ც.—1 ფ. 31 გ. აქტ. ს. ტფილისი, № 725, რიგ. № 678 (კვიტან. № 34434) 1 ც.—20 გ. აქტ. სად. ტფილისი № 726 რიგ. № 672 (კვ. № № 23165, 36042, 32445, 19833, 7, 32604, 12155, 24169) 10 ც.—7 ფ. 5 გ.

17 3—1

---

**ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი**

# კომერციული კურსები თ. მ. ფილოიანისა

ორთავე სქესისათვის. (ტფილისი, მიხეილის პრ. № 24. ტელ. № 976), თხოვნების მიღება დილ. 10—12 საათამდე, საღ. 5—7 საათ. იხსნება ახალი განყოფილება.

49 5—1

---

კოოპერატივ „ედინენიის“ გამგეობა და სარევიზიო კომისია, წევრების საყურადღებოდ აცხადებს, რომ იანვრის 15 ს საღამოს 6 საათზე, გამგეობის შენობაში, ყოფილ სასულიერო სემინარია (მესასვლელი ლორის-მელიქოვის ქუჩ.) მეორეთ დანიშნულია

# საგანგებო კრება

კოოპერატივის საქმის გარშემო მექმნილ მდგომარეობისა და ამით ყველა გამოწვეული კითხვების გასარჩევად. კრება, როგორც მეორეთ დანიშნული კანონიერი იქნება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს. არჩევნებში მონაწილეობის მისაღებათ საჭიროა საწევრო წიგნაკების წარმოდგენა.

43 1—1

სტამბა საქართველოს მთავრობისა

რედაქტორის მოვალ. ალმ. **გრიგოლ მაჭავარიანი**